იბერკომპანი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებელი საზოგადოება „იბერკომპანი“-ს (ს/კ 231963818) დირექტორი
ბ-ნი ლევან დიასამიძეს

ელ.ფოსტა. info@ibercompany.ge
ტ. 592 91-91-33.

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იბერკომპანი" (რეგისტრირებული: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ, სართული 3, ბლოკი B, გეგმავს ავტოგასამართი სადგურის მოწყობას ქალაქ ბორჯომში, შოთა რუსთაველის ქუჩა №20რ, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: **64.23.02.961** (GPS კოორდინატში X=366092.00; Y=4633520.00).

აღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „რულერ“-ის სახელზე სამინისტროში შეტანილი იყო სკრინინგის ანგარიში ზემოთ აღნიშნულ ავტოგასამართ სადგურზე, რომელზედაც სამინისტროს წერილის (#N 1469/01, 18/02/2021) თანახმად დაზუსტებას საჭიროებდა რამდენიმე საკითხი, რომელიც გათვალისწინებულ სკრინინგის ანგარიშში.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 1233.7 $მ^3$ ოდენობით (912.5 ტ/წელ).

სადგურის მომსახურება მოხდება 2 საწვავი რეზერვუარიდან, თითო 25 $მ^3$, რომლებიც განთავსდება მიწის ქვეშ საკორფაგში ზომებით:. 7.5 მ x 6.5 მ, საიდანაც ბენზინისათვის განკუთვნილი რეზერვუარი ორ ნაწილად იქნება დაყოფილი: 17 და 8 $მ^3$ მოცულობებად, ასევე დიზელის საწვავისათბის განკუთვნილი რეზერვუარიც ორ ნაწილად იქნება დაყოფილი: 18 და 8 $მ^3$ მოცულობებად;

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ამავე კოდექსისი მე-2 დანართის 6.3 პუნქტის თანახმად (ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობადა ექსპლუატაცია) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

№ 3037
22 02 21
1/17 +CD

პატივისცემით ლევან დიასამიძე
დირექტორი

შპს "იბერკომპანი"
საქართველო,ქ.თბილისი 0162
ი. ჭავჭავაძის გამზ. N37ლ
ს/კ: 231963818
ელ-ფოსტა:info@ibercompany.ge
www.ibercompany.ge

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;